



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ მ ბ ა

№ 45

„29 „ივნისი“ 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი
სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №104 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №10 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართების შესაბამისად.


კახა კალაძე

დანართი №5
საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2017-2020 წლები)

№5.1

**პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების და
ღონისძიებების აღწერა**

პრიორიტეტის დასახელება¹

რეგინალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

36 01 პროგრამის დასახელება

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა

განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; სსიპ -ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

პროგრამის აღწერა და მიზანი

ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;
შესაბამისი სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია;
საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
ელექტროენერჯის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და
განვითარების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავება;
ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების
ხელშეწყობა;
ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და/ან
ტრანსპორტირების საკმინდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
ნავთობისა და გაზის არსებული რესურსების ათვისება კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემოს
შექმნის, ახალი ინვესტიციების მოზიდვის და მცირედებიტიანი ჭაბურღილების ამოქმედების გზით;
ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების და ნავთობპროდუქტების მაჩვენებელთა ევროპულ
სტანდარტებთან მიახლოება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა;
ახალი პერსპექტიული საძიებო უბნების გამოყოფა და შესაბამისად ახალი ინვესტიციების მოზიდვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ინვესტიციების ზრდა; ელექტროენერჯით ვაჭრობის პოტენციალის გაზრდა
საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის.

განხორციელების ვადები²

მიმდინარე

36 01 01 01 ღონისძიების დასახელება

ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი

ღონისძიების განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.
სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია.
საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.
ელექტროენერჯის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და
განვითარების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავება.
ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების

ხელშეწყობა.

ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და/ან ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. ელექტროენერგიით ვაჭრობის პოტენციალის გაზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.

ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განხორციელების ვადები²

მიმდინარე

36 01 01 02 ღონისძიების დასახელება

სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ღონისძიების განმახორციელებელი

სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ნავთობისა და გაზის არსებული რესურსების ათვისება კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემოს შექმნის, ახალი ინვესტიციების მოზიდვის და მცირედებიტანი ჭაბურღილების ამოქმედების გზით.

გეოლოგიურ - გეოფიზიკურ მონაცემთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა.

ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების და ნავთობპროდუქტების მაჩვენებელთა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა.

ქვეყნის ტერიტორიის ნავთობგაზიანობის პერსპექტივების შეფასება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად;

ახალი პერსპექტიული საძიებო უბნების გამოყოფა და შესაბამისად ახალი ინვესტიციების მოზიდვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა,

საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება.

ახალი საბადოების აღმოჩენა, გახსნა/ათვისება;

თანამედროვე საეთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების საინფორმაციო ბაზა;

განხორციელების ვადები²

მიმდინარე

36 01 02 ქვეპროგრამის დასახელება

მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ,

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერჯის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდა. დასაქმდება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამიზნე რეგიონების მეწარმეობის გამოცოცხლებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

განხორციელების ვადები?

მიმდინარე

36 01 02 01 ღონისძიების დასახელება

სოფლების გაზიფიცირება

ღონისძიების განმახორციელებელი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო ,
შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება. დაახლოებით 300 კმ სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის (90-160 მმ) გაზის მილების მონტაჟი. სოფლების სრული დაქსელება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის,ს ამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება, 2020 წლამდე დაახლოებით 50 000 აბონენტისათვის გაზის მიწოდების ხელმისაწვდომობის მიზნით.

განხორციელების ვადები?

2013-2020 წწ

36 01 02 02 ღონისძიების დასახელება

მაგისტრალური მილსადენების მშენებლობა

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

ღონისძიების პროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების სამუშაოები ითვალისწინებს ქვეყნის მთიანი და არსებული მაგისტრალური გაზსადენების სისტემიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებამდე ბუნებრივი გაზის მომწოდების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რომელიც გამოყენებული იქნება გაზის მიწოდებისათვის დისტრიბუციის ქსელებში.

ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას იაფი, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი გაზის მიწოდების მეშვეობით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

პროექტ(ებ)ის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდება შესაძლებლობა ბუნებრივი გაზი მიეწოდოს დამატებით დაახლოებით 16 000 ახალ აბონენტს (ოჯახებს, ფერმერულ მეურნეობებს და ადგილობრივ საწარმოებს).

ასევე, ღონისძიების მოზადებისა (ტრასის შერჩევისა და დაპროექტებისას) და რეალიზაციის (მასალებისა და მოწყობილობის მიწოდება და ინფრასტრუქტურის მშენებლობა) შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებული

იქნება ადგილობრივი მატერიალური რესურსები და დასაქმდება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამიზნე რეგიონების მეწარმეობის გამოცოცხლებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

პროექტ(ებ)ის დასრულებისა და მილსადენების ოპერირების დაწყების შემდეგ, რეგიონებში ჩამოყალიბდება გაზის მეურნეობის დამატებითი საექსპლუატაციო ერთეულები და გაჩნდება შესაძლებლობა კვალიფიციური პერსონალის დასაქმებისათვის მუდმივ სამუშაო ადგილებზე.

განხორციელების ვადები

2017-2020 წწ

36 01 03 ქვეპროგრამის დასახელება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განხორციელების ვადები²

მიმდინარე

36 02 01 ღონისძიების დასახელება

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი

ღონისძიების განმახორციელებელი

შპს „ენგურჰესი“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ენგურჰესის ექსპლუატაციის ნორმების თანახმად სადერივაციო გვირაბი ყოველ ხუთ წელიწადში საჭიროებს დათვალიერებას და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რათა შემცირებული იქნას სადერივაციო გვირაბში გამავალი წყლის დანაკარგები.

ჩასატარებელია შემდეგი სამუშაოები: ენგურჰესის სადაწნეო ტრაქტის, სადერივაციო გვირაბის, სატურბინო წყალსატარების და სადერივაციო გვირაბთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ენგურჰესის წყალსაცავის გაწმენდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

გვირაბში გამავალი წყლის დანაკარგები შემცირდება. 300 მლ.კვტ.სთ-ით შემცირდება დანაკარგები

განხორციელების ვადები²

2017-2019 წწ

36 03 01 ქვეპროგრამის დასახელება

რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების, რეგიონში ელექტროენერგიით ვაჭრობის ხელშეწყობისა და ტრანზიტის უნარის ასამაღლებლად აუცილებელია ახალი ეგხ-ს მშენებლობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობა;

154 კვ ეგხ „ბათუმი-მურატლის“ მშენებლობა;

400 კვ „ახალციხე-თორთუმი“ ხაზის მშენებლობა.

500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოვი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საქართველოს გადამცემ ქსელში 500 კვ ეგხ-ების გამორთვისას და სასისტემო ავტომატიკის მოქმედებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც აქტიური ასევე რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის წარმოქმნა. სწორედ აღნიშნულ პრობლემებს აღმოფხვრის ჰესების ქსელში ინტეგრაციისთვის ახალი ეგხ-ს მშენებლობა. ასევე გაიზრდება მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობა.

განხორციელების ვადები²

2014-2021 წწ

36 03 01 01 ღონისძიების დასახელება

500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობა

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

500 კვ ეგხ მარნეული-აირუმის მშენებლობა (სომხეთის საზღვრამდე);

220/110 120 მვა ატ-ს შეძენა და მონტაჟი ქ/ს "მარნეული-220"-ში;

ქ/ს "მარნეული-220"-ში 220/110 კვ ატ-ს N2-ის 220 და 110 კვ უჯრედების მოწყობა;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

აღნიშნული პროექტი სრულად ჩაანაცვლებს 220 კვ ეგხ „ალავერდს“ და უზრუნველყოფს რუსეთი-საქართველო-სომხეთ-ირანს შორის სიმძლავრის ტრანზიტის უნარის მნიშვნელოვან ამაღლებას.

განხორციელების ვადები²

2014-2018 წწ

36 03 01 02 ღონისძიების დასახელება

154 კვ ეგხ „ბათუმი-მურატლის“ მშენებლობა

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

154 კვ ეგხ-ის მშენებლობა ბათუმი-მურატლი.

მუდმივი დენის ჩანართის ერთი 220/154 კვ 350 მგვტ ბლოკის მშენებლობა;

თურქეთისკენ გამტარუნარიანობის გაზრდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა, ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდა.

განხორციელების ვადები²

2020-2021 წწ

36 03 01 03 ღონისძიების დასახელება

400 კვ „ახალციხე-თორთუმი“ ხაზის მშენებლობა

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

400 კვ ეგზ-ის მშენებლობა ახალციხე-თორთუმი;

ქ/ს "ახალციხე-500"-ში მუდმივი დენის ჩანართის 500/400 კვ 350 მგვტ (მესამე) ბლოკის მოწყობა;

500 კვ ქვესადგურ ახალციხის გაფართოვება 400 კვ ეგზ "ახალციხე-თორთუმი"-ს მისაერთებლად და უჯრედის მოწყობა.

400 კვ ეგზ „ახალციხე-თორთუმი“ სრულად არეზერვებს 400 კვ ეგზ „მესხეთს“ (ახალციხეზორჩხა) და მისი გამორთვის შემთხვევაში აღარ წარმოიქმნება სიმძლავრის უზალანსობა საქართველოს გადამცემ ქსელში. თურქეთისკენ გამტარუნარიანობას გაზრდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ტრანზიტის უნარის მნიშვნელოვან ამაღლება, ელექტროენერჯის ექსპორტის გაზრდა.

განხორციელების ვადები²

2017 – 2019 წწ

36 03 01 04 ღონისძიების დასახელება

500 კვ ეგზ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკი

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

500კვ ეგზ-ის მშენებლობა რუსეთის მიმართულებით (500 კვ ეგზ ქსანი-დარიალჰესი-რუსეთის საზღვარი);

500/110 კვ ქ/ს „სტეფანწმინდა“, დადგმული სიმძლავრე 250 მგვტ;

ქ/ს ქსანი-500-ში 110 კვ უჯრედის მოწყობა, 500კვ ეგზ. "ქსანი-სტეფანწმინდა"-სთვის დროებითი 110 კვ ეგზ კავშირი ქ/ს ქსანი-500-სა და 500 კვ ეგზ. "ქსანი-სტეფანწმინდის" შორის, სიგრძე 0.7 კმ.;

ღონისძიება წარმოადგენს 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ პარალელურ ხაზს, არეზერვებს მას და ამაღლებს საქართველოს გადამცემი ქსელის მდგრადობას. 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ გამორთვა აღარ შექმნის სიმძლავრის ნაკარბის ან დეფიციტის წარმოქმნის საშიშროებას და ასა-ს მიერ მომხმარებლების ან გენერაციის გამორთვის აუცილებლობას. ეს პროექტი ასევე გარკვეულწილად მოახდენს 500 კვ ეგზ „იმერეთის“ დარეზერვებას ჩრდილოეთ კავკასიის ქსელით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ამაღლებს საქართველოს ქსელის მდგრადობა და მოხდება 170 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესების ინტეგრაცია, ასევე გაძლიერდება რუსეთთან პარალელური მუშაობის საიმედოობა.

განხორციელების ვადები²

2014 - 2020 წწ

36 03 02 ქვეპროგრამის დასახელება

საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და კვების უსაფრთხოების ამაღლება, ავარიული სიტუაციების რისკების, ავარიული გამორთვების რაოდენობის შემცირება, ხუდონი-ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება, თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ), რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ/სომხეთისკენ ტრანზიტის უნარისა და საიმედოობის ამაღლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

- 500 კვ ეგზ-ის მშენებლობა “ჯვარი-წყალტუბო-ახალციხე”;
- „ჩრდილოეთის რგოლი-წყალტუბო“;
- 110 კვ ეგზ-ის მშენებლობა „ოზურგეთი-ჩოხატაური“;
- 110 კვ ეგზ-ის მშენებლობა "ხელედულა - ჯახუნდერი“;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

შემცირდება ავარიული გამორთვები, ტრანზიტის უნარი და საიმედოობა მაღლდება.

განხორციელების ვადები²

2014 – 2023 წწ

36 03 02 01 ღონისძიების დასახელება

500 კვ ეგზ-ის მშენებლობა “ჯვარი-წყალტუბო-ახალციხე”

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

500 კვ ეგზ “ჯვარი-წყალტუბო”, სიგრძე 100 კმ, გამტარუნარიანობა 1200 მგვტ;

500 კვ ეგზ “წყალტუბო-ახალციხე”. სიგრძე 120 კმ, გამტარუნარიანობა 1200 მგვტ;

500 კვ ქს ახალციხის გაფართოვება ორჯაჭვა 500 კვ ეგზ წყალტუბო-ახალციხე-ს მისაერთებლად და უჯრედების მოწყობა;

ქს 500 კვ ფრთის მოწყობა, 500/220 კვ ავტოტრანსფორმატორი სიმძლავრე 500 მგვა და 250 მგვარ რეგულირებადი რეაქტორი;

250 მგვარ რეაქტორი ქს „ზესტაფონი 500“-ში.

ხუდონი-ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ. ქუთაისი-წყალტუბოს რეგიონში წარმოებებისა და ტურისტული ცენტრების შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ხუდონჰესის, ნენსკრაჰესის, მესტიის ჰესების, ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის ჰესების კასკადის სიმძლავრის ქსელში გამოტანა (ქს ჯვარიდან და ქს წყალტუბოდან) და ტრანსპორტირება ახალციხისკენ და აღმოსავლეთისკენ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, ასევე პერსპექტიული ელსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრაციის უზრუნველყოფა და შიდა ქსელის გამტარუნარიანობის ზრდა

განხორციელების ვადები²

2016 – 2020 წწ

36 03 02 02 ღონისძიების დასახელება

„ჩრდილოეთის რგოლი-წყალტუბო“

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

220 კვ ორჯაჭვა ეგზ-ის მშენებლობა "ნენსკრა-ხუდონი", სიგრძე 7 კმ;
110 კვ ორჯაჭვა ეგზ-ის მშენებლობა „ხუდონი-მესტია“, სიგრძე 90 კმ;
10 კვ 125 მგვა ქ/ს „მესტია“ მშენებლობა;
500/220 კვ 500 მგვა ქ/ს „ხუდონი“, 110 კვ ფრთა და 250 მგვა 220/110 კვ ავტოტრანსფორმატორი.
ქვესადგურ ხუდონში 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ შეჭრა, 1 კმ 220 კვ 250 მგვა ქვესადგური "სადმელი";
220 კვ ორჯაჭვა ეგზ-ის მშენებლობა „სადმელი-ზესტაფონი“, სიგრძე 70 კმ;

ღონისძიების მიზანია მესტიის რეგიონის ჰესების, მდინარე ნენსკრას შენაკადების, ნენსკრაჰესის სიმძლავრის, ხუდონჰესის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, ასევე პერსპექტიული ელსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

განხორციელების ვადები²

2017 – 2023 წწ

36 03 02 03 ღონისძიების დასახელება

110 კვ ეგზ-ის მშენებლობა „ოზურგეთი-ჩოხატაური“

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ქ/ს მშენებლობა 220/110 კვ, დადგმული სიმძლავრე 125 მგვა;
ქ/ს მშენებლობა 110 კვ "ჩოხატაური";
110 კვ ორჯაჭვა ეგზ-ის მშენებლობა „ოზურგეთი-ჩოხატაური“, სიგრძე 30 კმ;
220 კვ ეგზ „პალიასტომი-1“-ის შეჭრა ქ/ს „ოზურგეთში“;

ღონისძიების მიზანია გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება, გურიის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება, მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლება, ბათუმის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, ასევე პერსპექტიული ელსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

განხორციელების ვადები²

2017 – 2019 წწ

36 03 02 04 ღონისძიების დასახელება

110 კვ ეგზ-ის მშენებლობა "ხელედულა - ჯახუნდერი"

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

110 კვ ორჯაჭვა ეგზ-ის მშენებლობა "ხელედულა - ჯახუნდერი"
220/110 კვ 125 მგვა ავტოტრანსფორმატორი ქ/ს ლაჯანურში;

ღონისძიების მიზანია რეგიონის ჰესების ქსელში ინტეგრირება, კვების საიმედოობის ამაღლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, ასევე პერსპექტიული ელსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრაციის უზრუნველყოფა

განხორციელების ვადები²

2017 – 2020 წწ

36 03 03 ქვეპროგრამის დასახელება

220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. გამტარუნარიანობა 350 მგვტ; პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება მდინარე აჭარის წყალზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი შუახევის 178 მგვტ-იანი და კორომხეთის 150 მგვტ-იანი ჰესების მიერთება სახელმწიფო ენერგოსისტემასთან. რეგიონში ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა. ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

განხორციელების ვადები²

2014 – 2018 წწ

